

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საჯალო ფასი: 80 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 3,20 ლარი, სამი თვით - 9,60 ლარი, 6 თვით -16 ლარი, ერთი წლით - 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანსწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაცემა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani15@gmail.com
 558 499100
 კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი მიზნობრივი აქცია „ალიონით“

გურიის რეგიონში სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების მოქალაქეების ინფორმირების მიზნით საინფორმაციო უზვედრები გაიმართა



გურიის რეგიონში, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში, სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამებზე მოქალაქეების ინფორმირების მიზნით საინფორმაციო უზვედრები გაიმართა. სამხარეო ადმინისტრაციის, ჩოხატაურის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურისა და სოფლის განვითარების სააგენტოს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენლებმა ადგილობრივებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს იმ პროგრამებსა და პროექტებზე, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ ხორციელდება და ხელმძღვანელობს გურიის რეგიონისთვის. აღნიშნული უზვედრები მუნიციპალიტეტების ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა.

გურიაში სახელმწიფო რეგულაციების აღმინისტრაციის სამსახურ-საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა



სახელმწიფო რეგულაციების გეგმვის მიზნით, საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. საბჭოს წევრებმა რეგულაციებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით დაფინანსებული პროექტების, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიმდინარეობის შესახებ იმსჯელეს. ასევე, ვეროკაემიისა და გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL) ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილი ორი საპროექტო წინადადება განიხილეს და მოწონეს.

საინფორმაციო უზვედრა ფემიცილის საკითხებზე



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, რაიონული პროკურატურის თანამშრომლებმა საინფორმაციო უზვედრა გამართეს ფემიცილის კამპანიის ფარგლებში. საინფორმაციო უზვედრას, საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლები, ასევე, ა(ა)იპ სკოლაძე ალზრდის ცენტრის თანამშრომლები ესწრებოდნენ. უზვედრაზე, ყურადღება გამახვილდა ძალადობის აღკვეთის მიმართული საზოგადოების ჩართულობის როლსა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ მექანიზმებზე.

გენდერული საბჭოს სხდომა გაიმართა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა გაიმართა. სხდომაზე სამოქმედო გეგმა განიხილეს. ამავე დროს, უზვედრაზე საბჭოს გამომწვევებსა და მუნიციპალიტეტის წინაშე არსებულ სხვადასხვა საკითხზე ისაუბრეს. სხდომას საბჭოს წევრები და მერიაში გენდერის საკითხებში სპეციალისტი ნათია აფხაზავა ესწრებოდა.

ჩოხატაურში მერიის სათათბირო ორგანო „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო“ შეიქმნა

15 მარტს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა დავით შარაშიძემ, მერიის სათათბირო ორგანო „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო“ შექმნა. მისასაღებელია, რომ მრჩეველთა საბჭო საზოგადოებისათვის ცნობილ და დამსახურებულ ადამიანებს აერთიანებს და მასში ახალგაზრდები და უფროსი თაობის წარმომადგენლებია გაერთიანებული. დავით შარაშიძე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი; მედეა შარაშიძე - ა(ა)იპ „ოდა ქერი“-ის წარმომადგენელი; თამაზ ცინცაძე - ა(ა)იპ „გურიის სამოქალაქო ცენტრის“ კოორდინატორი; მიმდინარე, და სამომავლო პროექტებზე. შემდგომ ბატონმა მერმა საბჭოს წევრებს გააცნო მერიის მრჩეველთა საბჭოს მიზნები 1.ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა და მერიის საქმიანობაში საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა 2.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასა და მერს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა. ბ.მერიის საქმიანობის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.



ზურ ოსუფაიშვილი - „შალომ კლუბ გურიას“ პრეზიდენტი; ანტონ ხუნდაძე - შპს „მედალფას ჩოხატაურის სამედიცინო ცენტრის“ დირექტორი; სალომე გუდავაძე - შპს „ჯანმრთელობის სხლი გურიაში“ დირექტორი; ბესიკ მეფარიშვილი - ინდ. მეწარმე; დათო კობიძე - ინდემწარმე; დათო პაიჭაძე - შპს „სახარის“ დირექტორი; ნანა მგალობლიშვილი - პედაგოგი; ალექს კვინტრაძე - პედაგოგი; ქეთევან კუბლაშვილი - პედაგოგი; დოდო მადრაძე - პედაგოგი; ნატო ჩანტლაძე - ექიმი; ლევან მეგრელიშვილი - ექიმი; სოფიკო ჯინჭარაძე - გურიის მაჟორიტარი დეპუტატის ჩოხატაურის ბიუროს ხელმძღვანელი. საბჭოს წევრებს მიესალმა მუნიციპალიტეტის მერი ბატონი დავით შარაშიძე, რომელმაც ისაუბრა მუნიციპალიტეტში განხორციელებულ და 3.მოქალაქეების ინტერესების წარმოდგენა და დაცვა მერიის საქმიანობაში. დავით შარაშიძის მიმართვიდან გამომდინარე, საბჭო უნდა იყოს ცოცხალი მექანიზმი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას. მან უნდა იმუშაოს კანონიერების, საჯაროობის, კოლეგიურობის და მიუკერძოებლობის პრინციპებით. საჭიროა მოსახლეობა მეტად იყოს ჩართული მერიის საქმიანობაში, მერია მუშაობს ამ მიმართულებით, მაგრამ მეტი მოხილვისა და საჭიროა. ყველა ის საკითხი, რომელიც ამ კუთხით იქნება განხილული მრჩეველთა საბჭოზე, რაც არ უნდა მწვავე იყოს არ დარჩება რეაგირების გარეშე. საბჭოს მდივანია - ანა გიორგაძე-ადმინისტრაციული სამსახურის საქმიანობისა და საინფორმაციო მომსახურების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების საკითხებში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს ბიზნეს იდეების კონკურსს

თველოს კანონის შესაბამისად); 3) ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ან/და მათი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირები დასაქმებული პირი ან/და მისი ოჯახის წევრი (კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად).

უფლებამოსილია განახორციელოს პროექტის თანადაფინანსებაში მონაწილეობა მის საკუთრებაში არსებული ფინანსური ან/და არაფინანსური აქტივებით პროექტის საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით. მუნიციპალიტეტის მერია გამარჯვებული პროექტის დაფინანსებას უზრუნველყოფს ბენეფიციარისათვის აღჭურვილობის შესყიდვითა და გადაცემის გზით. ბიზნეს იდეების მიღება გაგრძელდება კონკურსის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში.

lanchkhuti.gov.ge. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ ბიზნეს იდეის ფორმა შეავსონ ელექტრონული ფორმით და გამოავაზონ მერიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე **lanchkhuti@yahoo.com**; შესაძლებელია ასევე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის (ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. 37) პირველ სართულზე მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილებაში ბიზნეს იდეის ფორმის მატერიალური ვერსიის მიღება და შემდგომში ამავე განყოფილებაში შევსებული სახით წარმოდგენა.

მიმდინარე წლის პროგრამის ფარგლებში ერთი ბენეფიციარისთვის შეიძლება დაფინანსდეს მხოლოდ ერთი პროექტი და დაფინანსების მოცულობა შეადგენს არანაკლებ 5000 და არაუმეტეს 15 000 ლარს. ბენეფიციარი

„ბახვი ჰესის“ გარემოსდაცვით და სოციალურ საპროექტო მომუშავე პრემიულთა საბჭოს შეხვედრა

შანიძე წარადგინეს. ის საბჭოში წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას „ქალები ქალებისთვის, საინიციატივო შეხვედრები გურიაში“. შეგახსენებთ, „ბახვი ჰესის“ გარემოს დაცვითი და სოციალური საკითხების მრჩეველთა საბჭო კომპანიის ინიციატივით შექმნილი სათა-

თბირო ორგანოა, რომლის მიზანი, დაინტერესებული მხარეების მეტი ჩართულობა და ჰიდროელექტროსადგურების პროექტების მეტი გამჭვირვალობაა. საბჭო ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებიდან ნომინირებული 12 დამოუკიდებელი წევრისაგან შედგება. საბჭ-

ოში სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები არიან გაერთიანებულები, კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია და ბიზნესი.

დაფინანსებული ფართი

ინფორმაცია 110 კვ ელექტრო გადაცემის ხაზის (ეგხ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის წარდგენის შესახებ



ინფორმაცია 110 კვ ელექტრო გადაცემის ხაზის (ეგხ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის წარდგენის შესახებ „ბახვი ჰესმა“ ამა წლის 1 მარტს გარემოს ეროვნულ სააგენტოში განსახილველად წარადგინა ბახვი 1 და 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის 110 კვოვოლტური საპროექტო ორგანიზაციის (ეგხ) „ბახვი-1-2“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშში.

ჰესის მიერ გამოთქმული ელექტროენერჯია მივაწოდოთ ცენტრალურ გადაცემის ხაზს, საჭიროა მასთან დაკავშირება. შესაბამისად, დღეს შევიტანეთ სკოპინგის პროექტი და ცხადია, ეს პროექტიც გაკეთდა იმ სტანდარტების დაცვით, რასაც ვიყენებთ ჩვენს პრაქტიკაში და ესაა, როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ასევე საერთაშორისო IFC და EIB სტანდარტები. ვიმედოვნებთ, რომ სკოპინგის პასუხი დადებითი იქნება და ჩვენ დაუბრკოლებლად გადავალთ გზის-ს ეტაპზე“ – განაცხადა დავით კობერიძემ, „ბახვი ჰესის“ გარემოს დაცვისა და სოციალურმა მენეჯერმა.

„ბახვი ჰესი“, „ბახვი 1,“ და „ბახვი 2“ ჰიდროელექტროსადგურების პროექტების განმახორციელებელი კომპანიაა, რომლის ინვესტორებიც არიან ერთი მხრივ ამერიკული ფონდი, კავკასიის განახლებადი ენერჯის ჰოლდინგი და მეორეს მხრივ ავსტრიული კომპანია „ილაგი“. „ბახვი ჰესის“ საქმიანობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად, ასევე, IFC-ისა და EIB-ის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის სტანდარტების სრული დაცვით. კომპანიას შექმნილი აქვს დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის სისტემა და ყოველ ვერზე, უზრუნველყოფს აღნიშნული სისტემით განსაზღვრული წესების ზედმიწევნით შესრულებასა და დაცვას.

ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, გარემოსა და რეგიონის განვითარებაზე დაფინანსებული ფართი

„ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანის საკითხი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პროექტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელია. იმისათვის რათა,

გამოიწერეთ ბაგეთი „ალიონი“

6 თვე – 16 ლარი;
12 თვე – 32 ლარი

ახალი პროექტი გურიაში

გურიის რეგიონში იწყება ახალი პროექტი „მწვანე გურია – ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის“.



პროექტი ხორციელდება CENN ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და პარტნიორ ორგანიზაციებთან – ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, დემოკრატიის ინსტიტუტი და ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) – თანამშრომლობით, ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის ENPARD IV-ის ფარგლებში.

ინსტიტუტის, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირისა და ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წარმომადგენლები. პროექტის მიზანია სიღარიბის შემცირება, მოწყვლადი თემებისთვის ეკონომიკური და სოციალური გარემოსა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება სამოქალაქო ჩართულობის, სოფლის ინკლუზიური განვითარებისა და მწვანე ზრდის

მხარდაჭერის გზით; გურიის რეგიონის მუნიციპალიტეტების განვითარების პოტენციალის გაძლიერება, ადგილობრივი შესაძლებლობებისა და რესურსების ოპტიმალური გამოყენება. შეხვედრას ესწრებოდნენ მერიის პირველი მოადგილე მათა კუტუბიძე, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლები და მერიის თანამშრომლები.

პროკურატურამ „ტვ პირველის“ შურნალისტი მამარტა კალაძის ბაგე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

„საქართველოს პროკურატურამ „ტვ პირველის“ შურნალისტი მამარტა კალაძის, ნივთის დაზიანებისა და შურნალისტიისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

„საქართველოს პროკურატურამ „ტვ პირველის“ შურნალისტი მამარტა კალაძის, ნივთის დაზიანებისა და შურნალისტიისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ბრალდებული 17 მარტს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ძალადობა), 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით (შურნალისტიისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ჩადენილი ძალადობის მუქარით) და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (სხვის ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვიო) წარუდგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს. გვესურს ზავსაძიებლად აღვნიშნოთ, რომ საქართველოს პროკურატურა შურნალისტიისთვის პროფესიული საქმიანობის ხელშეშლის ფაქტებზე მკაცრ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას ატარებს“, – აღნიშნულია ინფორმაციაში. **GHN.GE**

ბიოფარმის ხელშეწყობის პროგრამა



ონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის შესაბამისი რეგიონული სამსახურის თანამშრომელს მატერიული სახით. პროგრამის მიზანი და ამოცანა ბიოფარმების ხელშეწყობის პროგრამის მიზანია ბიოფარმების მხარდაჭერა ბიოპროდუქტების წარმოების ზრდის უზრუნველსაყოფად. პროგრამის ამოცანაა ბიოფარმების მსურველი პოტენციური ბენეფიციარების ფინანსური მხარდაჭერა. პროგრამის განმახორციელებელი პროგრამის განმახორციელებელია სოფლის განვითარების სააგენტო. პროგრამის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. პროგრამის მიზნობრიობები

პროგრამა ითვალისწინებს, კონვერსიის პერიოდში გაწეული შემდეგი მიზნობრივების ანაზღაურებას: ბიოფარმების სერტიფიცირება; საკონსულტაციო მომსახურება; ორგანულ მეურნეობაში დაშვებული ორგანული სასუქების ან/და მანებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ გამოსაყენებელი ბიოპრეპარატების შექმნა; ფუტკრის საკურნალო ბიოპრეპარატების და ბიოფიჭის შექმნა; თაფლისა და ცვილის ლაბორატორიული ანალიზის მომსახურება. პროგრამის გავრცელების გეოგრაფიული არეალი პროგრამის გავრცელების გეოგრაფიული არეალია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქი.

თუ ხართ დაინტერესებული ბიომეურნეობით, სახელმწიფო გთავაზობთ არაბიომეურნეობიდან ბიომეურნეობაზე გადასვლისას გაწეული ხარჯის ანაზღაურებას. შევსებული განაცხადის ფორმა წარმოსადგენ ღოკუ-მენტაციასთან ერთად უნდა გამოავაზონთ სააგენტოს ელექტრონული ფოსტის მისამართზე document@rda.gov.ge. ასევე, შესაძლებელია წარუდგინოთ ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამსახურის თანამშრომელს ან/და რეგი-

ღირსეული მასწავლებელი და მამულიშვილი შოთა ინჟირველი

1994 წლის გვიანი შემოდგომის – ბიოგრაფიისთვის ყინვიან შუადღს საპარტიო ბაზაში საშობაო თაბისუფლები, მისი მოგავლის მოტრფიალ მამულიშვილი, მოღვაწე მასწავლებელი, საპარტიო ბაზაში და საბჭოთა კავშირის დასახსრებული მფრთხილი ჭადრაკში – შოთა ინჟირველი. მისთვის 24 ნომერი ამ ქვეყანაზე მოსვლისა და წასვლის დღე აღმოჩნდა. იმ დღეს 65 წელი შეუსრულდა.



მსოფლიოს საჭადრაკო პრაქტიკას არ ახსოვს, რომ ერთ პიროვნებას მაღალი რანგის ესოდენ დიდი რაოდენობის მოჭადრაკე გაეზარდოს. ოლიმპიური, მსოფლიოსა და საერთაშორისო პირველობებში გამარჯვებული ექსტრა კლასის საერთაშორისო დიდოსტატები და ოსტატები: ზურაბ აზმაფარაშვილი, ნინო გურიელი, ნანა იოსელიანი, დავით გურგენიძე (არაერთგზის მსოფლიოს ჩემპიონი საჭადრაკო კომპოზიციაში), რომან ჯინჯიფიაშვილი, გენადი ზაიჩიკი, ქეთევან კახიანი, მათა ლომინიშვილი, თეიმურაზ ლომია, ციცილო კახაბრიშვილი, ლილა ნაჭყვია, ნინო ხუბულური, მერაბ ძეგლაძე, კახა ჩიგოგიძე, ვარლამ ვეფხიშვილი, შაბა წერეთელი, ივორ კუზმინი, ნატო ბალაშვილი, ლალი გელიაშვილი, ზურაბ ზამხაძე, თამაზ ტაბატაძე, აკაკი იაშვილი, ქეთევან და ნინო მელაშვილები, კახა შალამბერიძე, ზაზა გორიზია, ბექა კვარაცხელია, ირაკლი ძეგლაძე, რევაზ კაკაბაძე, ცირა მერეკლავილი, მათ შორის საქართველოს დამსახურებული მწვინელები: გიორგი მაჭარაშვილი და გოგი ხომერიკი (თავიანთი მრავალრიცხოვანი წარჩინებული მოწვევებით) და კვალიფიციურ მოჭადრაკეთა მთელი არმია. შოთა ინჟირველთან მიღებული პატიოსნების, უმწიკლოების, კაცადკაცობის გაკეთილები ცხოვრების საგზად და მეგობრად გაიყოლეს პოეტებმა, მწერლებმა, კინოსა და თეატრის მოღვაწეებმა, სპორტსმენებმა, მეცნიერებმა (ლამა თაბუკაშვილი, რევაზ ევაძე, კარლო კობერიძე, ანზორ სალუქვაძე, ლამარა ჭყონია, ნუგზარ ბაგრატიონი, ლაშა ნადარეჟიანი, ვლადიმერ უგრეხელიძე, იმელო ფხაკაძე, ზურაბ კანდელაკი, მანუჩარ და გიორგი მანაიძეები, იორამ ქვერტლიძე, ნიკა ბერაძე, კახი ჩიგოგიძე, მერაბ ძეგლაძე და კიდევ მრავალი სხვ.). „ოსტატი ნახელავით იცნობა, მასწავლებელი – აღზრდილი“.

განსაკუთრებული თვითმყოფადი ხასიათი შოთა ინჟირველს ყოველთვის გამოჩნდებოდა ხდოდა. მასში უმთავრესი სიყვარული იყო – უზომო სიყვარული სამშობლოსადმი – საქართველოსადმი, უზომო სიყვარული ქართული ჭადრაკისადმი, ბავშვებისადმი. გვახსენდება 40-50 წლის წინ თუ როგორ დადიოდა იგი ქართულ სკოლებში და რა სათუთარ-რულუნებით კრბავდა ასობით პატარა ქართველს, რომ შემდეგ მათში ჭადრაკის სიყვარულთან ერთად საქართველოს ხატება დაემკვიდრებინა. „ნამალდევი“, მამინ ლენინის რაიონის პიონერთა სახლში („სადღაც დაკარგულში“) ერთი „მოცუცხული“ ოთახი ეკავა ჭადრაკის კაბინეტს – ჩვენ „გაბრწყინებულ

საქართველოში“ შევიდით. ილია, ვაჟა, აკაკი, ივანე, დავითი, თამარი, ფარნავაზი, ვახტანგი, მირიანი, გალაქტიონი, ლადო, ნონა, ბუხუტი და ისევ დიდი ილია საბუღალტრო სათაყვანებელი გახდნენ.

ახლა ადვილია ყოველივე იმის თქმა, რასაც მამინ იგი ჭადრაკთან ერთად, უმეტესწილად, „აღზნული გვიჩინებდა“, გემოძვრავდა, მაგრამ იმ დროისათვის (პიონერთა სახლში!) მისი საქმიანობა გვირბა თუ არა დიდ გამბედაობას და ვაჟკაცობას წარმოადგენდა. მასხენდება, მამინ, ქართველ მოჭადრაკეებში რუსულ-ქართულ ნარევი ტერმინოლოგიით საუბარი ჩვეულებად იყო მიღებული. ქართველი მოჭადრაკეების დიდი ნაწილი რუსული საჭადრაკო ანბანით სარგებლობდა და ახალგაზრდებსაც ასე ასწავლიდნენ. დასამხსოვრებელი იყო ისიც, თუ როგორ ცინიკურად უყურებდა რიგი „წარჩინებული“ მოჭადრაკე და მმართველი საჭადრაკო „ჩინოვნიკი“ „ქარის წისქვილებთან“ მებრძოლ ახალგაზრდა მოჭადრაკეს და მწვინელს – შოთა ინჟირველს, როცა ის ქართული საჭადრაკო, და არა მარტო საჭადრაკო, ენისა და დამწერლობის დამკვიდრებას რომ მოითხოვდა. ამ შემთხვევაში, იგი მუდამ დაუდგარი და შეურიგებული იყო, რამაც საბოლოოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში ქართული საჭადრაკო დამწერლობის დროულ დამკვიდრებაში. რაც შეეხება მის პედაგოგიურ საქმიანობას, ზემოდ ჩამოთვლილ აღზრდილთა სახელები და დიდი რაოდენობით გამოქვეყნებული საჭადრაკო თეორიული, კრიტიკული თუ პუბლიცისტური ნაშრომები თვალნათლივ მეტყველებენ.

ბრწყინვალე მეხსიერების, დიდი ცოდნისა და ინტელექტის პატრონი, ცხოვრებაში საგნებით არაპრაქტიკული აღმოჩნდა. მის კიდევ ერთ დამახასიათებელ თვისებას უნდა ვთქვათ და თავდაუზოგავა წარმოადგენდა. დაუვიწყარია, ყველა მის მოწვევითავე, თუ როგორი ბედნიერი სახით, წიგნებით დაზნული, ჭადრაკის კაბინეტში შემოვიდოდა – თავის „თავისუფალი საქართველოს ტერიტორიაზე“. იგი, მიღებულ არც თუ ისე სამყოფ ხელფასს, უმეტესწილად, ჩვენთვის – მოსწავლეთათვის საჩუქრად ნაყიდ წიგნებსში ხარჯავდა. როცა სხვა რიგი „რჩეული მწვინელი“ ცხოვრების ყველა სიკეთით სარგებლობდა, იგი თავის ბოლო კაპიკებსაც კი სხვას უნაწილებდა. მისთვის, მეცადინეობისას საათი და რეგლამენტი, თავისთავად ჩვენთვისაც, არ არსებობდა. ხშირად მასწავლებლისავე ნაყიდი ფუნთოშებით ვიმპერებდით თავს. წვრილმანება ვიიომ?

მოწვევებზე ფიქრში ღამეები უთენებია, დიდ ენერჯიას ხარჯავდა. ყოველთვის დაჩაგრულს ეხმარებოდა. ვერ იტანდა სიყალბეს და კომპრომისზეც არასდროს არ მიდიოდა. ცდილობდა და ადვილადაც ახერხებდა მოწვევები ისე აღუზარდა, რომ არ ყოფილიყვნენ ობიგატელები და „ხელოსნები“, – „აღვანდეულ კვერცხზე მუცნებები“. ცდილობდა ჩვენში ჩაენერგა, როგორც ჭადრაკში, ისე ცხოვრებაშიც, „ხელოსნობას“ და „ხელოვნებას“ შორის განსხვავების უნარი. იგი მეორეს აძლევდა უპირატესობას.

შოთა მასწავლებლის განუსაზღვრელი ენერჯია სასწავლებლებად კეთილ გავლენას ახდენდა მის გარშემო მყოფებზე. სამაგიეროდ თავისი შეურიგებელი – უკომპრომისო ხასიათის გამო კრიტიკა არ აკლდა, რაზედაც ხშირად იტყობდა, რომ „მე მხოლოდ პატიოსანი ხალხი მაფასებს, პატივს მცემს“ და ჩამოთვლას ნონა გაფრინდაშვილით იწყებდა.

ჭადრაკი ისეთი სპორტია, რომელშიც წარმატების მიღწევას თავდაუზოგავ შრომასთან ერთად დიდი დრო სჭირდება, რასაც, ხშირ შემთხვევაში, ერთეულები თუ აღწევენ. შოთა ინჟირველის ასობით და ათასობით მოსწავლეებშიც (45 წლის მწვინელობისას) პროფესიულ ჭადრაკს ერთეულები შერჩნენ, მაგრამ რაც მთავარია, იმ მრავალმა ასეულმა გაიარა მისი სულიერი – ქართული სკოლა და სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, წრფელი მადლიერებით გაიხსენებენ ბავშვობის იმ დაუვიწყარ წლებსა და დღეებს.

„არან აღმანები, რომელთა არსებობაც უნდა გარდა უმურველი ნათება სხვათა სასიკეთოდ, სასიხ-არულოდ“ (ლ.ჩინჩიაძე, მრავალ არან ჩინებულ და მცირედი რჩეული. „სახალხო განათლება“, 1989, 13.10.), ხოლო ვინც ანათებს უცილობლად იწვის კიდევაც. დაის! იწვის - იფერფლება. ასეთი იყო შოთა ინჟირველი.

შოთა ინჟირველის მოწვევა სახელით - **ზურაბ ახამიფარაშვილი, მირაბ ახმელაძე**

ამონარიდები შოთა ინჟირველზე:

„ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ შოთა ინჟირველს - გულმხურვალე მამულიშვილს. თვითმხილველნი, მოწმენი ვართ მისი თავგანწირული შრომისა, მაგრამ ახლა, როცა ერთგვარად ვუკავებთ მის მიერ განკლილ გზას, გაცემა ვუვრულებს.“ (გ.გაფრინდაშვილი, ბგურგენიძე, „უნდა გარდავყავი“. „ცისკარი“, 1984, №9.)

„აღეს ბავშვებთან მოღვაწე მწვინელი შორის იდეალად შოთა ინჟირველი მიმჩნია. მან ნორჩებთან მუშაობის ყველა „საიდუმლოება“ იცის.“ (ნ.გაფრინდაშვილი, „მხოლოდ პატიოსნების მოვითხოვ“. „ალიონი“, 1989, 26.09.)

„აღეს, ასეთია იგი – შოთა ინჟირველი, გამოცდილი უღალატო პედაგოგი და ადამიანი: კაცი რომელსაც ცხოვრების მოწოდებად სამშობლოს, ერის სამსახურია ყველაზე დიდი ამტკვენიური ბედნიერება.“ (ნ.გაფრინდაშვილი, „დიდი ამტკვენიური ბედნიერება“. „პიონერი“, 1989, №3.)

„თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას ქართული ჭადრაკის ამაგდარი, ეს უპირველესად ბატონ შოთა

არამოლოგი, პროფ. მირაბ ახმელაძე

ინჟირველზე ითქმის. მისთვის არაფერი არ არსებობდა თავისი მოსწავლეებისა და ჭადრაკის გარდა. ის ყოველთვის თავდაუზოგავად შრომობდა, ხშირად საკუთარი ჯამრთელობის ფასდაც. შოთა მასწავლებელთან მეორეთანრივოსანი მივედი, – პირველი, რაც მან გააკეთა იყო ჩემი თანრიგის გაუქმება, ყველაფერი თავიდან დაიწყო. მე მასთან მუშაობაში მივედი, თუ რაოდენ ძნელი ყოფილა ნამდვილი ჭადრაკის თამაში, რა ენერჯია, რა ძალისხმევა სჭირდება თურმე მას. შოთა მასწავლებელს თავად შეეძლო შეეჩნა მეტად საინტერესო შემთხვევებით ატმოსფერო. მისი ყოველი გაკვეთილი რაღაც ახალს მატებდა და ვთვლიდი, რომ თუ რამეს მივალწე საჭადრაკო პრაქტიკაში, ეს მისი დამსახურებაა. მას მთელი ცხოვრების მანძილზე არავითარი სიმდიდრე არ შეუქმნია. მისი სიმდიდრე ჩვენ, მისი მოსწავლეები ვიყავით. მასთან ჭადრაკის გარდა არაფერი გვახსოვდა.“

ნიკო გურიელი.

„საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვინელი შოთა ინჟირველი, შეიძლება ითქვას, ჩემი უპირველესი მასწავლებელი და მწვინელია, რომელმაც გადაწყვეტილი ითამაშა მოჭადრაკედ ჩემს ჩამოყალიბებაში. ჩემი არა ერთი კოლეგა, დღეს სახ-ღმომხეველი მოჭადრაკეები, უმადლიან ბედს, რომ მათი აღზრდელი და გზაზე დამყენებელი იყო შოთა მასწავლებელი“

ნანა იოსელიანი.

„ჩვენი წარმატება უპირველესად ჩვენი მწვინელობის, ძვირფასი შოთა ინჟირველის დამსახურებაა. მისი მეშვეობით მე გადავაბიჯე პირველ დაბრკოლებებს.“

მთივანე კახიანი.


შოთა ინჟირველის 60 წლის თავზე „თავალი პატიოსნის“ ავტორმა - გურამ ფანჯიკიძემ ითქვა: „მე დიდ პატივს ვცემ შოთა ინჟირველს, იგი შესანიშნავი აღზრდელი და სპეციალისტია. თვითონ პედაგოგის ოჯახიდან ვარ და ვციც რას ნიშნავს ერისათვის კარგი პედაგოგი. თანაც ისეთი სპეციალისტი, როგორც შოთა ინჟირველია. მინდა ვუთხრა მას, რომ იგი ის კაცია, საქართველოს, ქართველ ერს რომ სჭირდება.“

პროფესორი ავთანდილ დუნიშვილი: – „ჩვენ ყველა პატივს ვცემთ, ყველას გვეყვარს ნინა გაფრინდაშვილი და ვიქტორ კუპრაძე, ნაზი კილასონია და ლექსო თორაძე, ასევე ძვირფასი და საყვარელი ადამიანია შოთა ინჟირველი. მართლაც რომ უნდა გარდავყავი და დიდი პატიოლტა იგი.“

შოთა ინჟირველს საღალბო სტრიქონები მიუძღვნა პოეტმა **ზურაბ ბოლქვაძემაც** –

საქართველოს და ჭადრაკს იფიცებს, ფიცალში აქსოვს გურულ სიფიცებს! ტყუილს, სიყალბეს ებრძვის იცილებს! შემოდგომაზე თვლის წიწილებს! ნადი მწვინელი! ნადი ვიცი მე, რომ მომავალშიც ნადი

იდრწყინებს! უნიკალური აქობს სიწმინდე! თან გადკვება კაცს, რა მისჭირდეს! ვისაც გეხებათ, ყველამ ისმინეთ: კუთვნილისათვის სანამ იცდიდეს?! გულგრილობისგან შორს დაიჭირეთ, ნუ შეიწირავთ შოთა ინჟირველს... და გწამდეთ, კვლავაც არ გაგაწილებთ! - დილისტატებად გაზრდის ყმაწილებს!



ვულოცავთ!
ცილა ჭანიშვილი
85 წლისაა

ცილა ივანეს ასულ ჭანიშვილს 20 მარტს, დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

გაოცებას ვერ ვმაღავთ მის უბადლო ნიჭის, ნათელი გონების შრომისმოყვარეობის გამო.

მან მინიჭებული სამეცნიერო ხარისხი, რომელიც აქვს, საკმარისად არ ჩათვალა და მიუხედავად ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობისა, სიცოცხლის ბოლო წლებში შეძლო დაეწერა მნიშვნელოვანი ნაშრომი – „ლიხაური“, რომელიც მიუძღვნა ჩვენს სათაყვანებელ სოფელს.

წიგნი მზადაა გამოსაცემად. იმე და სპონსორიც გამოჩნდება ამ კარგი საქმის ბოლომდე მისაყვანად.

ვულოცავთ ქალბატონ ცილას დაბადების დღეს და ვუსურვებთ დღევრთელობას და მისი სურვილის შესრულებას.

ზურაბი სიყვარულით,
ზახლომის ადამიანები,
მეგობრები და
ოჯახის წევრები

დედა

თვალცრემლიანი ვუცქერი სურათს, მომავლდება განვლილი წლები, დრო ტკივლს, სევდას, ვერა ვერ კურნავს, ჩემო დედიკო სულ მენატრები.

ვნაღობ შენს საფლავს აწვიმს და ათოვს, მხოლოდ მზის სხივი არ მოდის ციდან, შენს გულს, სიკეთით სავსეს და საინოს დედა ძვირფასო ხომ არ შესცივდა? ერთად განვლილი ცხოვრების გზებით, კვლავ ცოცხლობს ჩემში მყარი ფესვებით,

ხშირად გიგონებ, სიხარულით გვხვები და ძველებურად გეაღერებები. შენი სურნელით გამობარმა კალთამ, ჩემს სასთუმალთან დაილო ბინა, მგონია ისევ ზინარ აკვანთან, და თითქოს მესმის ტკბილი ნანინა. მოვიდარ შენთან ტირილით, სევდით, არ გაგრძობინო მსურს სიმარტოვე, ეჭვი არა მაქვს, რომ ვჯერა დიდი, შენ ვერასოდეს ვერ მიმატოვებ. ბუნების კანონს ვერავინ შეცვლის არა, არ გვეშველის დარდი და გლოვა, ჩვენ საბუღალდე არ დავმორდებით, და ბოლოს დედა მე შენთან მივალ.

ნოდარ ღონაძე

დიდი
გაღლობა
ყურადღებისათვის.

ქალბატონო როზა, ადამიანთა გვერდით დგომა თქვენთვის ჩვეულებრივი თვისებაა, ეს მე თავად ვიგრძენი და დავინახე.

დიდი მადლობა ყურადღებისათვის.

დღემრთა გონიერი გულით, მუდამ სიმართლის გზით გატაროს.

პატივისცემით,
ანნა ნაკაშიძე.

ამბავი „კაცია აღამიანის?!“ კითხვისა და ზამთრის მიწურულს საბოსტნე ნაკვეთის ბარკისა...



აქ ცოტა ლირიკულად უნდა გადავუხვიო...
 გადახვევა გრძელი არ იქნება...
 არც მოსაწყენი, ვიმედოვნებ...
 დიდი ხნის წინანდელი ამბავია...
 მოვეყვები ცოტა ქვემოთ...
 თუმცა, მანამდე, ლიტერატურ საღამოები გამახსენდა გუშინწინ თუ იმისწინ გამახსენდა და გეუბნები აი, ავერ, ახლა, შენ, გაზეთ „ალიონის“ მკითხველო... უკვე ლამის ერთი წლის ნაცნობი და პატივსაცემო...

მოგმართავ, უთხოვნელად და მოუბოდიშებლად თანაც რა დროს?!
 იმ დროს როცა ილია მართლისა და ექვთიმე ღვთისკაცის ურთიერთობებზე საუბარს რომ უნდა ვაგრძელებდე...
 ვზივარ საკუთარი ბინის სამზარეულოში... დილის სამისნახევარზე...
 გურიიდან სულ სამი საათის ჩამოსული, ვწერ და გეუბნები წინდაწინ, ერთადერთი წიგნი იკითხებოდა ხსენებულ საღამოებზე და იყო ერთადერთი მკითხველი მამაჩემი სახელად გრიშა.
 კითხულობდა ხმამაღლა, ხშირ-ხშირი შესვენებებით, მაგრამ დაუზარლად „კაცია აღამიანის?!“ და მსმენელი ჰყავდა ორად ორი: მე და, ჩემი და, მათა.
 ვიცი, დასაწყისშივე გამცნე ეს ამბავი, მაგრამ...

კი არ მჯერა, განმეორება ცოდნის დედა რომ არ არის ყოველთვის, მაგრამ ვიმეორებ მაინც...
 მიზეზი?!
 თხრობის ლოგიკა ითხოვს, სავარაუდოდ...
 ... კარგა ხანს გაგრძელდა კითხვა, ცივ და უხვთოვლიან დეკემბერში დაიწყო, ზომიერად ცივ იანვარში გაგრძელდა და საკმაოდ თბილ, თებერვლის შუა რიცხვებში დასრულდა დიდი ზარ-ზეიმით.
 შაბათი დღე იყო და სწორედ იმ დღეს პირველად დაკრა მამამ ბარი მიწას და ავეყვი მეც, ჩემი მომცრო ბართი იმ წელს რასაკვირველია, თორემ, იცოცხლე, ყოველ წელს იბარებოდა საბოსტნე მიწა ჩვენს ეზოში.
 ვუყურებდი როგორ ბარავდა მიწას მამა – მონატრებული კაცის ჟინით დ ვფიქრობდი რა კარგი მამა მყავს მე და რა კარგი მოთხრობაა „კაცია აღამიანის?!“

ერთ საათზე მეტ ხანს ბარავდა მამა შესვენებლად და როდის-როდის შევატყვევო რომ დაიღალა.
 შეიძლება ვცდები, მაგრამ, ასე მგონია, პირველად ვნახე იმ დღეს დადლილი მამა.
 მენდეთ, დაუდლებელი მუშაობა იცოდა ორმოცდაათი წლისამაც და სამოცდაათსუთმეტი რომ მოათავა იმ დრომდის.
 მერე აღარც ბარი აუღია ხელში, აღარც თოხი და მით უფრო ურო და სოლები ანუ პალოები, გურულად.
 დაიღალა მამა
 მოხრილი მარჯვენა იდაყვით ბარის ტარს დაეყრდნო და რო, იცოდა, ისე ძლივს გასაყო-

ნად მკითხა:
 – მოგეწონა ილია?
 – მაგრად, – გულწრფელად ვუთხარი მე.
 – მომიყვები და მე მოვისმენ – და მე დავიწყე თხრობა. არც რიტორიკა მისხენებია და არც ჩაილური. აი, ეზო - ყურე და სახლი, როგორც მასსოვს კარგად მოვეყვები. არც ჩინბროთისა და ბოზბაშის ამბავი დამვიწყებია.


– კარგად ჰყვები – გზადაგზა მამხნევებდა მამა.
 თხრობა დიდხანს გაგრძელდა.
 ლამის მთელი საბოსტნე ფართობი დაიბარა.

თუმცა, მანამდე მამამ ილიას ბიოგრაფია მოყვა.
 თხრობისას მე კი არ მიყურებდა, ზეცაში იყურებოდა და იმ დღეს გაჩნდა ჩემ ცხოვრებაში უკვე ბროკაპუზის და ეფრონის და ენციკლოპედია.
 გაჩნდა მამინ და მე, ახლაც მიკვირს რატომ იცოდა ფსიქოლოგმა მამამ ილიას „ავტობიოგრაფიის“ ამბავი.
 ამბავი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ მოვეყვი 1976 წელს მოხდა...

10 წლის ვიყავი სულ... (ახლა 2023 წლის 3 მარტი... და მე ლამის 57 წლის ვარ... და მაინც, ყველაფერი თითქოს გუშინ არა, მაგრამ გუშინწინ მოხდა...)
 წლების მერე ბროკაპუზის და ეფრონის ენციკლოპედია იმდროინდელ საჯარო და ამჟამინდელ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ვნახე ცალკე ოთახში თაროებზე ჩამწკრივებულ ექვსიკონს ცალკე პატარა, მაგრამ, მაინც ოთახი ეჭირა „ქსეროქსის ოთახია“ იქ ახლა და ჩემდა სამარცხვინოდ, ახლაც არ ვიცი, რომელ ტომშია განთავსებული ილიას ბიოგრაფია და მიუხედავად იმისა ილიას „ავტობიოგრაფიაში“ არაფერია ნათქვამი დიდ ექვთიმეზე, მაინც სათქმელი კიდევ დამრჩა და ვიწყებ...

არა, უფრო ვაგრძელებ...
 „მატიანეს“ კალენდრით 1898 23 ოქტომბერია და ილია „წერილობითი თხოვნით მიმართავს ექვთიმე თაყაიშვილს, რომ დროებით გადასცეს დავით ბაქრაძის რუსულენოვანი თხზულება „ქრისტიანობის ძეგლები კავკასიაში“.
 წერილი, რომ არ გავახსენოთ/გავაცნოთ, აბა, როგორ იქნება?!
 ინებეთ...
 „ექვთიმე თაყაიშვილისადმი 23 ოქტომბერი, [1898 წ.].
 ღრმად პატივსაცემო ბატონო ექვთიმე სვიმონისაჲ!

უძორჩილესად ვთხოვთ, მათხოვით დ. ბაქრაძის თხზულება «Памятники христианства на Кавказ» ძალიან საჭიროა საერთო საქმისათვის.
 თქვენი პატივისცემული ილია ჭავჭავაძე“.



წერილი ილია ოცტომეულის მეჩვიდმეტე ტომიდან მოვიხმე (ი. ჭავჭავაძე, თსკ ოც ტომად, ტ. 17, 2012, გვ. 185) რაც შეეხება განმარტებას, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, ამავე ტომის 461 და 462-ე გვერდებზე იპოვით...

„ექვთიმე თაყაიშვილისადმი ხელნაწერი: ავტობიოგრაფი ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი 2114.
 ნაბეჭდი: ი. ჭავჭავაძე, თსკ, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. X, გვ. 147.
 თარიღი: 23 ოქტომბერი, [1898] წ.
 ხელმოწერა: თქვენი პატივისცემული ილია ჭავჭავაძე.
 აღრუსტაბა ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953), ცნობილი ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი.

ზველე ინგოროყვა აღნიშნავს: „ილია ამ პერიოდში აგროვებდა მასალებს ცნობილი ისტორიულ-პუბლიცისტური შრომისათვის „ქათა ლაღადი“ (იხ. მისი კომენტარი, თსკ. ტ. X, გვ. 527).

ჩვენ მოგვაქვს დამატებითი მასალა ამ განცხადების დასაბუთებისათვის. 1899 წელს შურნალი „კვალი“ (15) ბეჭდავს ცნობას: „დასრულდა ილია ჭავჭავაძის „ქათა ლაღადი“. ამასვე იმეორებს ვაზ. „ივერია“ (1899, 96), „ცნობის ფურცელი“ (789), „მშაკი“ (791) და სხვ. ამავე წელს „ქათა ლაღადი“ ითარგმნა სომხურად („ცნობის ფურცელი“ 789).“

მოდით, გაზეთ „ივერიის“ ხსენებულ ნომერსაც გადავხედოთ.
 თუმცა, მანამდე „მატიანეს“ კალენდარს „ჩამოვსქროლა“ , 1899 წლის 23 მარტამდე“.

„ჩამოვსქროლა“ და თქვენთან ერთად, მართლა არ ვიცი, მერამდენდ წავიკითხავ „ამთავრებს ნარკვევ „ქათა ლაღადის“ წერას და კითხულობს მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეების წრეში. მათ შორის არიან: ექვთიმე თაყაიშვილი, ვლადიმერ მიქელაძე, ნიკო ცხვედაძე, ნიკო ხიზანიშვილი და მიხეილ გრუზინსკი. ექვთიმე თაყაიშვილი ამჩნევს რამდენიმე უზუსტობას, ურჩევს, არ დაეყრდნოს მხოლოდ დიმიტრი ბაქრაძის ციტირებებს და უშუალოდ გაეცნოს ქერობე პატკანოვის წერილს. ილია ჭავჭავაძე რჩევას ითვალისწინებს“. – მიაქციეთ ხომ ყურადღება, ვის რჩევას ითვალისწინებს ილია ჭავჭავაძე!
 ახლა კი დაბრუნდებით ნომრის გადაფურცვლის დროს...

შორს წასვლა როდი დამჭირდება...
 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელი“, „მზადაა თქვენდა სამსახურად“.

ამასობაში, კალენდარზე 1905 11 ოქტომბერია, ილია „სათავეში უდგას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე კავკასიის მეფისნაცვალთან წარგზავნილ დეპუტაციას. მეფისნაცვალის ვორონცოვ-დაშკოვი კარგად მომზადებული ხვდება მათ წინადადებას და უმტკიცებს, რომ ერთ სახელმწიფოში ორი ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის არსებობა წარმოუდგენელია. არც ილიას და არც სხვა დეპუტატებს არ აგონდებათ ბიზანტიის მაგალითი, სადაც ოთხი ავტოკეფალური საპატრიარქო არსებობდა: კონსტანტინეპოლის, იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიის. აუდიენციიდან გამოსულებს ამის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილი შეახსენებს და ილიას გული სწყდება, რომ სათანადო პასუხი ვერ გასცეს მეფისნაცვალს“.

ექვთიმე თაყაიშვილის „მოგონებანს“ უნდა დაეუბრუნებინა, დროა...
 ზემოთხსენებულ აუდიენციას, რომ იტყვიან „ესე მარტვად, ვერ გავატარებ“...
 „როდესაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის, ე.ი. თვითმართებულობის დამოუკიდებლობის საკითხი დაისვა, ეს საკითხი დიდხანს იყო მსჯელობის საგანი, ბევრი წიგნი და წერილი დაიბეჭდა ქართულსა თუ რუსულ შურნალ-გაზეთებში. წარმოიდგინეთ, ამ საქმეში მდგრად გვეზმარებოდნენ რუსის სლავიანოფილებიც! ისინი არ სცნობდნენ სინოდს, რაკი ძველად რუსეთში პატრიარქის მართებულობა იყო, და მოითხოვდნენ პატრიარქობის აღდგენას როგორც რუსეთში, ისე საქართველოში! მათი მეთაური (გვარი არ მახსენდება, დიდად მიღებული და ვაგლენიანი პირი კი იყო!) სულ ერთთავად იმის პროპაგანდას ეწეოდა, რომ სინოდი უხეშად იქცევა და რომ რუსეთშიცა და საქართველოშიც კვლავ თავთავის საპატრიარქოები უნდა აღდგესო. „საქართველო უძველესი ქრისტიანული სახელმწიფო იყო. მან ქრისტიანობა მამინ მიიღო, როდესაც რუსეთის სახელმწიფო ჯერ არ არსებობდა და რუსები არც იყვნენ ქრისტიანებიო; მათი ეპისკოპოზი, ყოველად სამღვდლო კირიონი, რომელიც საქართველოში პატრიარქად უნდა იყოს, ჩვენ მთავრობას სამშობლოდან გამოდევნილი ჰყავს და ემიგრანტობაში იტანჯებაო“. პირდაპირ ასე აცხადებდა ის სლავიანოფილების თავი კაცი (კირიონი ერთხანს შიდა რუსეთში




იყო მღვდელმთავრად, მერე იალტაში ვნახე, ხოლო რევოლუციის შემდეგ მართლაც გახდა საქართველოს განახლებული ავტოკეფალური ეკლესიის პირველი კათალიკოსი, თუმცა კი ძალიან მალე გარდაიცვალა...). სლავიანოფილების ასეთმა პროპაგანდამ და ჩვენმა მოთხოვნამ იმდენად იმოქმედა ნიკოლოზ მეორეზე, რომ მან დანიშნა სპეციალური კომისია, ე.წ. „превсоборная комиссия“, რომელსაც უნდა განეხილა საქართველოს ავტოკეფალიის საკითხი, ვინაიდან რუსის ჩინოვიკური სამღვდლოება სინოდისა ამტკიცებდა, რომ საქართველოს ეკლესიას არასოდეს ავტოკეფალია არა ჰქონია, რომ იგი მუდამ ანტიოქიისა და სხვა საპატრიარქოებს ექვემდებარებოდა და სხვა.

ამ კომისიის სხდომა, როგორც ცნობილია («Церковный Вестник»-ში წერია ეს ამბები), შედგა რუსეთის ერთ-ერთ ქვემო ქალაქში. საქართველოდან მას დაესწრნენ ეპისკოპოსები: ლეონიდე და კირიონი; პროფესორები: ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარი... ამ საკითხს შეიძლება სხვა დროსაც დაეუბრუნდეთ, ახლა კი ისევ ილიას შესახებ ვიტყვი.

ჩვენ გვინდოდა, რომ საქართველოსათვის ამ საკითხში მხარი დაეჭირა მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვსაც. ვაწყობდით კრებებს, ილიას თანდასწრებით, ვაგროვებდით ცნობებს და ილიას ვაკისრებდით, პირადად მოლაპარაკებოდა ამ საკითხზე ვორონცოვ-დაშკოვს. ილია უარზე იდგა და გვეუბნებოდა, მაგ თქვენი „ეკლესიისა“ (ასე უწოდებდა ირონიულად ავტოკეფალიას) არა გამეგება რა და ვინმე სხვა მივზავებო. მაგრამ ჩვენ, რასაკვირველია, არ მოვეშვით და ბოლოს ვაიბუღეთ ილია დათანხმებულიყო. თან, რაც შეგვეძლო, ვუხსნიდით და ვუმარტავდით საქმის არსს. ბოლოს ილია წავიდა მეფისნაცვალთან. დიდხანს ესაუბრნა მასთან. ვორონცოვ-დაშკოვს ეთქვა, დამარწმუნეთ, რომ ეგ ავტოკეფალია სასარგებლო იქნება საქართველოსთვისაც და რუსეთისთვისაც და მამინ დაგიჭერთ მხარსო. ილიას ეპასუხნა, მე კი დამარწმუნეს, რომ საჭიროა არის და სასარგებლოცაო. მერმე შექნოდათ მსჯელობა. ბოლოს ილიამ მოვეტანა ამბავი: „ამ ვორონცოვმა ყველა გარემოება ჩვენზე უკეთ იცის და პირში ბურთი ჩავჭარაო; მითხრა, ეკლესია ღმერთს ეხვეწება ყველა ქრისტიანული ეკლესიის შეერთებას და თქვენ კი არსებული ერთობის დაშლა გსურთო; განა ვაგონილა, ერთ მართლმადიდებელ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა საკათალიკოსო არსებობდესო?“

ეს რომ მოვისმინე, შევეკითხე:
 – „ბატონო ილია, განა არ უთხარით, რომ ბიზანტია ერთი სამართლმადიდებლო სახელმწიფო იყო, მაგრამ მასში ოთხი ავტოკეფალური საპატრიარქო არსებობდა: კონსტანტინეპოლისა, იერუსალიმისა, ანტიოქიისა და ალექსანდრიის - მეთქი?“ ამზე ილია ცოტა შეჩერდა, შემომხედა თვალებში და მიპასუხა:– „აკი ვითხარით, მაგ თქვენი კეფალიისა არაფერი მესმის და ნუ გამეზავნით-მეთქი?“

აპოკალიფსური მოძრაობა 1905-1906 წლებში



ვახტანგ გურული

საპარტიზლო
სრულუფლებოვანი
დაპოუქილავალი
სახელმწიფო (1918)



პროფესორმა ბუტკევიჩმა აღნიშნა, რომ მისი მოხსენება ეხებოდა ეპისკოპოს ლეონიდის თხოვნას, რომლის თანახმადაც, აუცილებელი იყო საქართველოს ეკლესიის თვითმწყობის (ავტოკეფალიის) აღდგენა. ბუტკევიჩის აზრით, ქართველი მღვდელმთავრის მოხსენებაში მრავალი ფაქტი შემოწმებასა და გამოძიებას საჭიროებდა. განსაკუთრებით კი ეს ეხებოდა ეპისკოპოსის მმართველობის პერიოდს და ეგზარქოსების დახასიათებას. ფაქტობრივად, ბუტკევიჩის გამოხატული ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენების კრიტიკას წარმოადგენდა. ითან ვოსტოროვი თვლიდა, რომ ბუტკევიჩის მოხსენება საესეებით მართებული იყო, რადგან ქართველი ეპისკოპოსი ცდილობდა დაემტკიცებინა შემდეგი ფაქტები: 1. საქართველოს ეკლესია კეთილად ასრულებდა თავის მოვალეობას, სანამ ის რუსეთის საეგზარქოსოს მმართველობაში შევიდოდა; 2. საქართველოს ეკლესია დაეცა საეგზარქოსოს მმართველობის პერიოდში; 3. საქართველოს ეკლესიის თავისი პირადი სახის დასაბრუნებლად ესაჭიროება ავტოკეფალია. ვოსტოროვი აღნიშნა, რომ რუს მეცნიერებს მიხედვით დასასული გაერკვიათ: 1. ფუნქციონირებდა და კეთილდღეობდა თუ არა საქართველოს ეკლესია რუსეთთან შეერთებამდე; 2. მიიყვანა თუ არა სინამდვილეში რუსეთის საეკლესიო მმართველობა საქართველოს ეკლესია სრულ დაცვამდე; 3. საქართველოს ეკლესიისათვის მიყენებული აზრები იყო თუ არა იმდენად ღრმა, რომ ამ აზრების-ფან ეკლესიის განკურნება მხოლოდ ავტოკეფალიის შექმნა, თუ ყოველივე ეს მოგვარდებოდა რეფორმების გზით.

სხვადასხვა კიდევ ერთხელ დაისვა საკითხი: რამდენად მართებული იყო ქართველი მეცნიერების მონაწილეობა მთლიანად ეპისკოპოსის მუშაობაში. ნიკო მარმა აღნიშნა: „კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ მთელი განყოფილების მუშაობაში მონაწილეობას მხოლოდ, როგორც საისტორიო წყაროების მქონე, მაგრამ უარს ვაცხადებ პრაქტიკული საკითხების განხილვაში მონაწილეობაზე. მაგალითად: არის თუ არა ავტოკეფალია სასიკეთო ეკლესიისათვის (ეს ეხება მხოლოდ საქართველოს ეკლესიას, საქართველოს საეკლესიო კრებას). ამავე დროს მსურს დაედასტუროთ, რომ მხად ვარ მონაწილეობა მთელი საქართველოს ეკლესიის მმართველობის ისტორიული მხარის გამოქვეყნებაში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოწვევა იქნება მთელი განყოფილების თანხმობით და არა მხოლოდ უსამღვდელოესი ლეონიდის სურვილით“. საბოლოოდ ხმათა უმრავლესობით გადაწყდა ალექსანდრე ცაგარელისა და ნიკო მარის მონაწილეობა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მთლიანად განყოფილების სხდომებში.

პროფესორმა ტიმოფეი ბუტკევიჩმა წაითხა მოხსენება – „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი“ (მოხსენება 1906 წლის ცალკე ბრუშურის სახით გამოცემა სარკომში), რომლის მეოთხე და მეხუთე გვერდები მოლიანად ეთმობოდა უსამღვდელოესი ლეონიდის მოხსენებაში აღნიშნული ფაქტების უარყოფას. პროფესორი ბუტკევიჩი წერდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა გამოწვეული იყო იმდენად რეალური, რასაც ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაც დასტურებდა. რუსი პროფესორის აზრით, აღნიშნული ბრალდებები სიმართლე რომ ყოფილიყო, ეს მხოლოდ იმის უფლებას აძლევდა ქართველებს, რომ მთლიანად უკეთესი ეგზარქოსი და არა ეკლესიის თვითმწყობის აღდგენა.

პროფესორ ბუტკევიჩის გამოხატული გამოცხადება ეპისკოპოსი ლეონიდი, რომელმაც მას კრებულ ერთხელ განუმარტა თავისი მოხსენების არსი. ქართველი ეპისკოპოსი არ დაეთანხმა რუსი მეცნიერის მიერ მოყვანილ ფაქტებს და მასთან კამათი ჩაება. უსამღვდელოესმა ლეონიდმა აღნიშნა, რომ ეგზარქოსების მიერ ქართული ენის არცოდნა არ იყო ნორმალური და მისაღები ფაქტი. ეგზარქოსები, როგორც ეკლესიის პირველი იერარქები, ვალდებული იყვნენ სცილდნოდნ ქართული ენა, რომელიც, ამავე დროს, საეგზარქოსოს მოსახლეობის სახელმწიფო ენაც იყო. ქართველი მღვდელმთავარი შეეცადა, ბუტკევიჩის მოხსენებაში აღნიშნული ყველა ბრალდება გაეყარა და ეპისკოპოსმა ლეონიდმა საეკლესიო ტრადიციების დეგრადაცია არაერთი ფაქტი დაასაბუხა. იგი ამტკიცებდა, რომ ეგზარქოსებმა არ იცოდნენ საეკლესიო ტრადიციები და არც პატრიარქის სცემდნენ მათ. ამის დასადასტურებლად ყოვლადსამღვდელო ლეონიდმა ასეთი ფაქტი გაიხსენა: პირველ ოქტომბრის მცხეთის სეკტციონის ტაძარში აღნიშნულდნ ცხოველმყოფელი სვეტის დღესასწაულს. ეგზარქოსმა ნახა ტაძარში აღილიბრივი დღესასწაულის აღნიშვნის ხატი, ვასცა პრძინება ხატის ჩამოსხნისა და ღვთისმშობლის საფარელოს ახალი ხატი მოატანა. მას განუმარტეს, რომ ეს იყო ადგილობრივი ტაძრის დღესასწაულის აღნიშვნის ხატი, რაზეც მან ასე უპასუხა: „არანაირი თქვენი დღესასწაული არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე, უნდა ვიდღესასწაულოთ საფარელოს დღესასწაული“. ამ ფაქტით ქართველმა მღვდელმთავარმა კიდევ ერთხელ დადასტურა ის, რომ ეგზარქოსებმა არა მარტო არ იცოდნენ საეკლესიო ტრადიციები, არამედ არც პატრიარქის სცემდნენ მათ.

უსამღვდელოეს ლეონიდს გამოეხსურა ალექსანდრე ცაგარელიც და აღნიშნა, რომ საკითხის ამ კუთხით განხილვა პოლიტიკურ სახეს იქნა, რაც მიუღებელი იყო

საკლესიო პრობლემის გადასჭრელად. მან არასწორად ჩათვალა საეკლესიო საკითხების გარკვევისათვის პოლიტიკური ხასიათის მიცემა. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მთლიანად განყოფილების თაყვანდობარემ მიიჩნია, რომ საჭირო იყო კვლავ ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენების განხილვა. რუსები ბრალდებულნი იყვნენ ყოველივე ქართულის დეგრადაციაში, ამიტომაც, თაყვანდობარის აზრით, ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების კრიტიკა კვლავ უნდა გაგრძელდეს. ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა ალექსანდრე ცაგარელი. მან სხვობაზე მყოფთ შეახსენა, რომ ბრალდებები კონკრეტულ პირებს არ ეხებოდა, არამედ მასში დადანიშნული იყო ის სისუსტე, ის რეჟიმი, რომელიც ეკლესიას მართავდა. ქართველი მეცნიერის სიტყვები დადასტურა ეპისკოპოსმა ლეონიდმა. მან შეკრებილთ მოახსენა, რომ კონკრეტულ პირებთან არ ჰქონდა საქმე, ყოვლადსამღვდელო ლეონიდი საუბრობდა იმ რეჟიმზე, რომელიც ცეცხლოვანი იყვნენ არა მხოლოდ ქართველები.

ბოლოებამდე კვლავ ჩაება ნიკო მარი. მან არ დამალა თავისი გაკვირვება, როდესაც საუბარი საქართველოს ეკლესიის დაცვის მიზეზებს შეეხო. ეკლესიის დაცვის მიზეზებს ეხებდნენ, მაგრამ ამავე დროს უგულვებლყოფდნენ ისეთ ფაქტებს, როგორებიც იყო: 1. ქართული ენის დეგრადაცია; 2. უმადრესი ქართული საეკლესიო წერილობითი ძეგლებისა და საეკლესიო სწავლა-განათლების უგულვებლყოფა; 3. საეკლესიო ტრადიციების ნიგელირება; 4. ქართველი წმინდანთა ცხოვრების ამსახველი კრებულის გამოცემა და სწავლებაზე უარის თქმა. ნიკო მარს მაინც აღაშთა, რომ რუსეთის საეკლესიო პოლიტიკას კარგად წარმოაჩენდა შემდეგი ფაქტი: 1884 წლამდე ბიბლია ქართულ ენაზე გამოცემული არ ყოფილა, ხოლო ის, რაც 1884 წლისათვის გამოცემა, იმდენად უგვანდ იყო შედგენილი, რომ უზღობესი იყო საზოგადოება არც გასცნობდა მას. ნიკო მარის აზრით, საქართველოს ეკლესიას სათავეში კათოლიკოს-პატრიარქი რომ ჰყოლოდა, ამავე საკითხი არც დადებოდა. მაგალითისათვის მან კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I (1744-1755 წწ.; 1764-1788 წწ.) დაასახელა, რომელიც ხელს უწყობდა ქართული წერილობითი ძეგლების შესწავლას. სამწუხაროდ, ვითარება შეიცვალა. ნიკო მარმა აღნიშნა, რომ აღარ იმსახვებოდა ქართული ენა, ლიტერატურა, რაც საზოგადოების გაუნათლებლობის მიზეზი იყო. პროფესორი ტიმოფეი ბუტკევიჩი არ დაეთანხმა ქართველ მეცნიერს. მან აღნიშნა, რომ ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი (1811-1817) ქართველი იყო და ქართულ ენასაც ფლობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მანც დატოვა საქართველო. უსამღვდელოესი იონა ვასილევსკი (1821-1837) ვაიდა საქართველოდან, თუქცა ისიც ფლობდა ქართულ ენას. ბუტკევიჩმა უსამართლოდ მიიჩნია რუსი ეგზარქოსებისადმი წაყენებული ბრალდებები. მან აღნიშნა, რომ ქართველთა განათლების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ეგზარქოსმა ფეოფილქტ რუსანოვმა (1817-1821 წწ.), რომელმაც დააარსა ქართული სტამბა. სწორედ მისი თანხმობით გამოიცემოდა ქართული საღვთისმშობრო წიგნები.

ალექსანდრე ცაგარელმა გაიხსენა, რომ ეგზარქოსი იოანე რუდნეც (1874-1882 წწ.) მან სთხოვა, ბიბლიის გამოცემის დროს ეხელმძღვანელათ ათონის X საუკუნის ქართული ხელნაწერით, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველ მეცნიერს მამან არაფერ მოუხმნა. კამათი ამ საკითხის ირვლივ კვლავ გაგრძელდა. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მთლიანად განყოფილებას ნიკო მარმა ასეთი არ ამტკიცა: „ქართველებს არ აშხადებენ ასეთი სამუშაოსათვის. ჩემთან მოდის მრავალი ქართველი, რათა გაეცნოს ქართულ წყაროებს. სიმეტი მოწვევები მრავლად მყავს და ისინიც ვულმოდინდენ მუშაობენ. რატომ? იმიტომ, რომ მათ აქვთ ის, რაც ქართველებს არ აქვთ: ეკლესიის ავტონომია, სკოლები და სხვადასხვა

საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც ინერგება სიფარული საკუთარი სამშობლოსა და ძეგლებისადმი.“ ამ სიტყვებით დაასრულა ნიკო მარმა თავისი გამოსვლა.

მთავარეპისკოპოსმა ნიკანდრმა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მთლიანად განყოფილების სხდომის შემობა დასრულად გამოაცხადა. მთლიანად განყოფილებამ შემდეგი დადგენილება მიიღო: ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაში საქართველოს საეგზარქოსოს მმართველობისადმი წაყენებული ბრალდებები უარყოფელ იქნეს, როგორც უსაფუძვლო.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მთლიანად განყოფილების 1906 წლის 17 ნოემბრის სხდომაზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე პოლემიკამ კიდევ ერთხელ დადასტურა ჭეშმარიტება: რუსი სამღვდელოება და რუსი მეცნიერები არად აცდებდნენ ქართველ მღვდელმთავართა და მეცნიერთა არგუმენტურულ მოსაზრებებს და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ არ ეცნოთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობა და, აქედან გამომდინარე, არ დასმულიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი.

1906 წლის 24 ნოემბრის სხდომა 1906 წლის 24 ნოემბრის მუშაობა გაგრძელდა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მთლიანად განყოფილებამ (სექციამ). კრება გაიხსნა საღამოს 7 საათზე მთავარეპისკოპოს ნიკანდრის (ნიკოლაი ფრონოშოვი) თაყვანდობარებით. კრებას ესწრებოდნენ: ყოვლადსამღვდელო სტეპანი (არსანგელსკი) – მოგილიოვის ეპისკოპოსი, ყოვლადსამღვდელო ლეონიდი (ოქობაძე) – იბერეთის ეპისკოპოსი; დეკანოზები: ტიმოფეი ბუტკევიჩი, იონა ვოსტოროვი, ი. სოკოლოვი, ა. პ. მალცევი, ი. ი. კოიალოვი; პროფესორები: ილია ბერდნიკოვი, ნიკოლაი ზაოზერსკი, ნიკოლაი ივანოვი, ალექსანდრე აღიზოვი, იონა სოკოლოვი, ალექსანდრე ბრილიანტოვი, ნიკოლაი, ალექსანდრე ცაგარელი, დ. პოპოვი და ვ. პ. შენი, სხვობის ასევე ესწრებოდნენ უწმინდესი სინოდის კანცლარის უფროსისა. გრიგოვსკი, უწმინდესი სინოდისა და კანცლარის ბუღალტერი ვ. ფ. ტრელინი. სხდომა ჩატარდა სინოდის სამეცნიერო საბჭოს დარბაზში.

მთავარეპისკოპოსმა ნიკანდრმა სხდომაზე მყოფთ შესთავაზა ემსჯელათ ხარკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორის, დეკანოზ ტიმოფეი ბუტკევიჩის მოხსენების ძირითად თეზისებზე. მოხსენება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს ეხებოდა. თაყვანდობარემ სხდომის მონაწილეთ სთხოვა სიმშვიდის შენარჩუნება და წესრიგის დაცვა მომხსენებელთან კამათის დროს. ქართველმა მეცნიერმა ნიკო მარმა წინასწარ თხოვა, რომ პირველ რიგში მოესმინათ ბუტკევიჩის მოხსენების მთლიანი შეფასება, რაც სხდომის მთლიანად განყოფილების შემობაზე მოხსენების შეფასების მცდელობად იქნა მიჩნეული. კრებაზე მყოფმა რუსმა საერო და სასულიერო პირებმა თაყვანდობარის მხარდაჭერით ნიკო მარს არ მისცეს უფლება, პირველი წარმდგარიყო როგორც მომხსენებელი და სიტყვა დეკანოზ ტიმოფეი ბუტკევიჩს დაეთმო. რუსმა დეკანოზმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის დაკავშირებული საკითხი შემდგენარად ჩამოაყალიბა:

1. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია თუ დამოუკიდებელი მმართველობა დაკანონდა 488 წელს ანტიოქიის ეკლესიის მთლიანად განყოფილების შემობაზე (553 წ.) და მეექვსე (680 წ.) მსოფლიო საეკლესიო კრებებში. 751 წელს, ანტიოქიის პატრიარქ თეოფილქტეს დროს, საქართველოს ეკლესია გაათავისუფლდა ანტიოქიის ეკლესიის იურისდიქციისაგან;

2. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დადასტურებულ საბუთები სეგურა და დასტურებას საჭიროებს. ამტ-


კიცებენ, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია დაკანონდა ანტიოქიის 488 წლის კრებამ, რომელიც არასოდეს შემდგარა. შემდეგში არასებელი ანტიოქიის კრების დადგენილება უცნობაო მსოფლიოს სხვა პატრიარქებსა და მესუთე და მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებებს. ყველაფერი ეს დაგვირგვინებული ანტიოქიამ 751 წელს გამოთვლ ავტოკეფალიის საეკლესიო კრებაზე. ყოველივე ზემოთქმულის არ აქვს არანაირი საფუძველი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია არის მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფი. საკითხის ისე გადაწყვეტა, როგორც დაყენებით ამტკიცებენ ქართველი მეცნიერები, კანონიკურად შეუძლებელია. ის, რომ ანტიოქიის საპატრიარქოსი გადაწყვეტილება დადასტურებულია მსოფლიო საეკლესიო კრებებით – ეს გასაგება. მაგრამ რა საჭირო იყო მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ხელახალი დადასტურება – ეს უცნე გაუგებარია. შემდეგ ანტიოქიის ავტოკეფალიის საეკლესიო კრებამ საბოლოოდ დადასტურა ორი მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილება. ეს უცნე რაღაც არაბუნებრივია;

ტიმოფეი ბუტკევიჩის მოხსენების მოხმის შემდეგ პროფესორმა ნიკო მარმა კვლავ ითხოვა სიტყვა: „აქ განაცხადა მან, საუბრობს ადამიანი (ეკლესიისმობდა ტბუდკევიჩს – ვ. გ.), რომოსაც არავითარი წარმოდგენა არ აქვს საქართველოს ეკლესიაზე. მე განვიხილე მისი წიგნი და ახლა ჩემი მოსმენა კი არ გსურთ“.

ნიკო მარი თავისი მთლიანად გამოხატვისას შეეხო რუსი დეკანოზის, ხარკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორ ტიმოფეი ბუტკევიჩის მოხსენების შინაარსს. ქართველმა მეცნიერმა არამართებულად მიიჩნია, სეპარატისტებად მოეხსენებინათ ის პირები, რომლებიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნას იცავდნენ. ნიკო მარის მოხსენების განხილვისას სხდომის თაყვანდობარემ, მთავარეპისკოპოსმა ნიკანდრმა განაცხადა, რომ ქართველი მეცნიერი მალან ღრმად ერეოდა მთლიანად განყოფილების მუშაობის პროცესში. რაც შეეხება ბუტკევიჩს, მან ნიკო მართან პოლემიკაში ჩართვა ზედმეტად მიიჩნია. სიტყვით გამოვიდა უსამღვდელოესი სტეპანიც, რომელიც ფიქრობდა, რომ ნიკო მარმა ობიექტურად არ შეაფასა ბუტკევიჩის მოხსენება. მოგილიოვის ეპისკოპოსის მიხედვით, რომელიც მოხსენებდა, რომ ნიკო მარმა ობიექტურად არ შეაფასა ბუტკევიჩის მოხსენების მთლიანად ერთ ნაწილს და მცდარი შეხედულებების გამოჩვენებას დაუბოძა დრო. უსამღვდელოესი სტეპანი ითხოვდა, ავტორიტეტული ქართველი მეცნიერების ნაზრებზე დაყრდნობით საბოლოოდ გარკვეულიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ასეთ ავტორიტეტებზე კი მას დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე და ვიორგი ფორდანი მაინც (მსგეველობაში ჰქონდა ვიორგი ფორდანის ნაშრომი. მოგილიოვის ეპისკოპოსი თვლიდა, რომ ვიორგი ფორდანი იყო გამოჩენილი პიროვნება და ამიტომაც გაუგებარი იყო, რატომ არ ანიჭებდნენ იქ მყოფი ქართველი მეცნიერები მის შრომებს მნიშვნელობას. ნიკო მარმა განმარტა, რომ აუცილებელი იყო სამეცნიერო გამოცემისა და სამეცნიერო წყაროს ერთმანეთისაგან გამოყვანა. თუ ქართველი მეცნიერები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადასაწყვეტად ვიორგი ფორდანის გამოცემით იხელმძღვანელებდნენ, საბოლოოდ იმ დასკვნაზე მივიდნენ, რომ არავითარი საფუძველი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის არ არსებობდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ალექსანდრე ცაგარელმა აღნიშნა, რომ ხშირად არასწორად სარგებლობდნენ წყაროებით თვით ბერძენიც კი. იგი თვლიდა, რომ ასეთ შემთხვევაში უზღობესი იქნებოდა ქართულ ენაზე არსებული პირველწყაროების გამოყენება.

ვახტანგ გურული
(საქართველოს ახალი ისტორია, . (1801-1918) წიგნი 3; გვ: 508-511 დასაწყისი ის. „ალიონი“ №18-32, 2022 წ. №3-5, 2023 წ. (ზაზარამღვბა იძნება))

საქართველოს ნაკრების მონაგარში 2 მედალი გურიიდანაა




ალიონი. საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე 23-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის 2023 წლის ჩემპიონატზე ბუქარესტში, 5 მედალი მოიპოვა და საერთო გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავა.
დიეგო ჩხიკვაძე (67 კგ) – ოქრო; **გიორგი შოთაძე** (63 კგ) – ვერცხლი;
გიორგი ცოფურაშვილი (130 კგ) – ვერცხლი;
გიორგი ჩხიკვაძე (72 კგ) – ბრინჯაო;

საბა მამალაძე (82 კგ) – ბრინჯაო.
 დიეგო ჩხიკვაძე 23-წლამდელთა შორის ზედიზედ მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი! სულ კი, მას ასაკობრივ ჩემპიონატებზე 4 ოქროს მედალი აქვს მოპოვებული!
 ლანჩხუთელი **გიორგი შოთაძე** ფინალური შეხვედრა ფინელ ტინო ტაბიო ოჯალასთან, ძალიან დაძაბულ ორთაბრძოლაში, 4:5 დათმო და ვერცხლის მედალს დაეუფლა.
გიორგი შოთაძე – ახალგაზრდებს

შორის საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზორი (2018წ. 67 კგ), ჭაბუკებს შორის მსოფლიოს ჩემპიონი (2016 წ. , 50 კგ), ჭაბუკებს შორის ევროპის ორჯონის ჩემპიონი (2016 წ., 50 კგ, 2017 წ. 58 კგ) და ვერცხლის პრიზორი (2015 წ., 46 კგ), ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი (2019 წ., 60 კგ);
 ოზურგეთელმა **საბა მამალაძემ** ბუქარესტში 82 კგ წონით კატეგორიაში, სერბი მეტოქე, ბრანკო კოვაჩევიჩი დაამარცხა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა! (მწვრთნელი – უჩა მუჟავენიძე)
საბა მამალაძე – ჭაბუკებს შორის საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზორი (2019-71კგ); 23 წლამდელთა შორის საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზორი (2022-82კგ); 20 წლამდელთა შორის საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზორი (2022-82კგ); მესამე ადგილი (82კგ) ბერძნულ-რომაული ჭიდაობა – ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონატი 2021, უფა, რუსეთი;
 უკულოცავთ ჩვენს მოჭიდავეებს მიღწეულ წარმატებას!

„დედაომი“ ინდოეთში



ინდოეთში ქართული თეატრის კვირეული დასრულდა. ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ქალაქ აგრასში სპექტაკლი „დედაომი“ (რეჟისორი საბა ასლამაზიშვილი) წარმოადგინა.

ქართული თეატრის საერთაშორისო ფესტივალი ინდოეთში წელს პირველად, საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა. თეატრალური ფორუმი 12 დან 17 მარტის ჩათვლით, აგრასა და ჯაიპურში მასპინძლობდა თეატრის მოყვარულებს.
 ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი მადლობას უხდის საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერისთვის, ინდოეთის ქალაქების აგრასა და ჯაიპურის მთავრობას, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციას „კულტურული მრავალფეროვნება მშვიდობიანი მომავლისთვის“.



კველი ოზურგეთის ქუჩების ისტორია

ბაღის ქუჩა



ბაღის ქუჩა ახალდელი ფარანავაზ მფხის ქუჩაა
 ბაღის ქუჩა კარგად არის აღბეჭდილი ოზურგეთის დასახლების სქემატურ გეგმაზე 1905-1907 წლების მდგომარეობით, რომელიც აღგენილია ოზურგეთის მკვიდრის **დავით შარაშენიძის** პირადი მეზღვიერებით ავტორი ამ თემაზე მუშაობდა 1953-1960 წლებში თბილისსა და ოზურგეთში, ნამუშევარი მუზეუმს გადასცა 1961 წელს.
 ბაღის ქუჩა ქალაქის მეორე იარუსზე მდებარეობდა, მისი პარალელური ქუჩები იყო ქუთაისის (ახლანდელი აღმაშენებლის) და ლამის (ახლანდელი რუსთაველის) ქუჩა. ბაღის ქუჩა იწყებოდა ყოფილ სობოროს ქუჩიდან, (ახლანდელი ზვიად გამსახურდიას მოედნის მიმდებარე ტერიტორია).
 სახელწოდება ბაღის ქუჩა ხომ არ არის შესაძლებელი ქალაქის ცენტრში არსებული ბაღის გამო

დაერთქმით. ამ ბაღის შესახებ მწერალი და საზოგადო მოღვაწე **ნინო ნაკაშიძე** თავის მოგონებებში გადმოგვცემს: „*მოთმინება არ მყოფნიდა არ მენახა ჩემი ოზურგეთი, ჩემი სათავყვანებელი ქალაქი, ყველაზე უწინ გავემართე ქალაქის ბაღის სნახავად მთელი ჩემი ბავშვობა ამ ბაღთან იყო იყო დაკავშირებული, მიყვარდა ლამაზი ფართო ფოთლებიანი დიდრონი ჭადრები, მაღალი წიფლები, ასკილის ბუჩქები, თუთის ხეები და რცხილებიც. აქ იყო მსუბუქი შენობა „როტონდა“, სადაც ადგილობრივი სცენის მოყვარულები წარმოდგენებს მართავდნენ, ციხე ისევ იდგა და გადაჰყურებდა ქალაქს, მისი გვერდები აღარ იყო სურათი შეფენილი. ციხეში ცხოვრობდნენ წითელარმიელები. ბაღის ქვემოთ აღარ იდგა არც ორი ეკლესია ქართული და რუსული, იმათ ადგილას ხარობდა ციხე-*

რუსოვანი ლამაზი ბაღი მან-დარინების ხეებით და მაგნოლიებით დამშვენებული, შივა და შივ ბაღში ჩადგმული იყო ხის ზურგებიანი სკამები მოსეირნეთა დასასვენებლად. აღარ იყო ის ფარდულიც, სადაც ერთ დროს აბრეშუმის ჭია ჰყავდათ დასმული ვის ჰყავდა არ ვიცი, მაგრამ მიხაკო ახალაძე რომ უვლიდა და ჩვენ სკოლის ამხანაგები ვეხმარებოდით თუთის ფოთლების დაჭრაში და ჭიის დაპურებაში, კვირაობით სკოლის ბავშვები, ამ ბაღში ვერთობოდით, ამ ბაღში. ბევრი სხვადასხვა შინაარსის და ხასიათის კრებები ტარდებოდა. ამ ბაღში გაიმართა რომანოვების მეფობის 300 წლიანი თარიღის აღნიშვნა და სადილი ღარიბებისათვის („**ნინო ნაკაშიძე „მოგონებები გურიაზე“ ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდი საქმე 533**“).
 სავარაუდოდ ბაღის ქუჩას 1920 წლისათვის ერქვა თვითმმართველობის ქუჩა, ალბათ გასული საუკუნის 30-იან წლებამდე ვიდრე ქალაქს და ქუჩებს არ დაერქმეოდა პარტიული და სამეურნეო მუშაკების და ხელმძღვანელების სახელები.
ცხაკაიას ქუჩა
 მიხა (მიხეილ) გრიგოლის ძე ცხაკაია დაიბადა 1865 წელს მარტვილის რაიონის სოფელ ხუნწში.
 1886-1897 წლებში რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა, თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში. 18

92-1893 წლებში იყო საქართველოში რევოლუციის ორგანიზაციის „მესამე დასის“ ერთ-ერთი დამაარსებელი. 1903-1905 წლებში სხვებთან ერთად ხელმძღვანელობდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს. 1905-1907 წლებში იმყოფებოდა ემიგრაციაში, ქალაქ ჟენევაში.
 1917 წელს დაბრუნდა რუსეთში.
 1929-1930-იან წლებში იყო ამიერკავკასიის ცაკ-ის ერთ-ერთი თავმჯდომარე. 1923-1924 და 1929-1930 წლებში- საქართველოს ცაკ-ის პრეზიუმის თავმჯდომარე.
 მიხეილ ცხაკაია გარდაიცვალა 1950 წელს დაკრძალულია ქალაქ თბილისში.
 ცხაკაიას ქუჩაზე წლების მანძილზე განთავსებული იყო მასნარაძის რაიონული სასამართლო, სადაც წლების მანძილზე მოსამართლედ მუშაობდა რესპუბლიკაში ცნობილი ქალბატონი **ნინა გობრონიძე**. თვით სასამართლოს შენობა რამდენიმე წლით გადაიტანეს ყოფილი ქალაქის საბჭოს მოპირდაპირე მხარეს არსებულ შენობაში, ხოლო 1973 წელს გადატანილი იქნა მეგობრობის ქუჩაზე.
 ცხაკაია ქუჩაზე განთავსებული იყო აგრეთვე სანიტარულ ეპიდემიოლოგიური სადგური როგორც მაშინ ეძახდნენ სანეპიდსადგურს, შემდეგ – საბავშვო ბაღი ამჟამად ტერიტორია კერძო საკუთრებაა.

იმალა საბჭოთა კავშირი. შესაბამისად მასწარაძეში ქუჩებს შეეცვალა სახელწოდებები და მიენიჭა ქართველ საზოგადო თუ სასულიერო მოღვაწეთა სახელები. ქალაქს დაუბრუნდა ძველი სახელწოდება ოზურგეთი.
 ფარანავაზ მეფის ქუჩა იწყება ახლანდელი ზვიად გამსახურდიას მოედნიდან და გრძელდება ვიდრე ჩოხატაურის ქუჩის კვეთამდე.
 ფარანავაზი იყო ქართლის (იბერიის) სამეფოს პირველი მეფე, რომელიც მეფობდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნის მიწურულს და მესამე საუკუნის პირველ ნახევარში იგი ქართლის ტომის ბელადის სამარა მცხეთის მამასახლისის ძმისწული იყო მან დაამარცხა მცხეთის დამპყრობელი არიან-ქართლის მეფის ძე აზო და თავი ქართლის მეფედ გამოაცხადა. ფარანავაზმა გაატარა სახელმწიფო რეფორმა, რომლის საფუძველზე ქართლის სამეფო დაჰყო რვა საერისთაოდ: არგვეთის, კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, წუნდის, ოძრახის, კლარჯეთის, ეგრიისა და შიდა ქართლის საერისთაოებად, რომელთა სათავეში ერისთავები ჩააყენა. ფარანავაზმა ქართლის მთაზე აღმართა მთავარი ღვთაების - არმაზის კერპი, ფარანავაზ მეფეს მიაწერენ ქართული დამწერლობის შემოღებას.
მანანა ლომაძე
 ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მცველი

წვიმა +5+9	ღრუბელი +5+9	წვიმა +4+9	ღრუბელი +4+9	წვიმა +4+10	ღრუბელი +7+16	ღრუბელი +11+21
20 მარტი ორშაბათი	21 მარტი სამშაბათი	22 მარტი ოთხშაბათი	23 მარტი ხუთშაბათი	24 მარტი პარასკევი	25 მარტი შაბათი	26 მარტი კვირა